



## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 234

2019 წ. "10" 12

### ქ.თბილისი

შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო  
პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

#### 1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27<sup>3</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“

თავმჯდომარე

მდივანი

და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას.

## 2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 17 ივნისს შპს - სასწავლო უნივერსიტეტმა გეომედი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №374 (ცენტრში რეგისტრაციის №766988) სააკრედიტაციო განაცხადი „სტომატოლოგის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 10 ივლისის №598 ბრძანების საფუძველზე, შპს - სასწავლო უნივერსტიტეტი გეომედი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის №824 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 08 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში, ხოლო 2019 წლის 28 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

თავმჯდომარე  
მდივანი  


4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 10 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე დაადგინა, რომ "სამედიცინო სამართლის" სილაბუსის შინაარსი კარგად არის აგებული, თუმცა, სილაბუსით გათვალისწინებული სამართლის არარელევანტურია და არ შეესაბამება საკითხებს. საბჭომ მიერ „სამედიცინო სამართლის“ ლიტერატურა არარელევანტურია და არ შეესაბამება საკითხებისა და ლიტერატურის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაიცა სილაბუსში არსებული საკითხებისა და ლიტერატურის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაიცა დამატებითი რეკომენდაცია აღნიშნული სილაბუსის მოწესრიგების შესახებ.

### 3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის 2019 წლის 17 ივნისის №374 (ცენტრში რეგისტრაციის №766988) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 10 დეკემბრის №65 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა/დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) გაიწეროს რეალურად მიღწევადი სწავლის შედეგები ან მოდიფიცირდეს და დარედაქტირდეს უკვე არსებული სწავლის შედეგები. საჭიროა პროგრამის მიზნები უფრო მეტად იყოს თანხვედრაში თავმჯდომარე

მდივანი

უნივერსიტეტის მისიასთან, განსაკუთრებით, „გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების“ განაცხადთან და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან;

ბ) სტუდენტებს მიეცეთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში მონაწილეობის და საერთაშორისო მობილობით სარგებლობის შესაძლებლობა;

გ) გაიზარდოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის/განმახორციელებელი პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ და პაციენტების მიღება ნებაყოფლობითის ნაცვლად გახდეს სავალდებულო, როგორც მიღებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ უმაღლეს სასწავლებელში და საქართველოს კანონმდებლობითაც დასაშვებია („საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14.2 „ა“). ანიშნული გაწერილი იქნება მანიპულაციების ჩამონათვალით. ჩატარებული მანიპულაციები აისახოს პრაქტიკის ამსახველ დოკუმენტაციაში (მაგ., ჩამონათვალით. ჩატარებული მანიპულაციები აისახოს პრაქტიკის ამსახველ დოკუმენტაციაში (მაგ.,

სტუდენტთა პრაქტიკული აქტივობის დღიურებში);

დ) გასწორდეს სილაბუსებში არსებული უზუსტობები, სილაბუსებში დაემატოს გამოტოვებულ გამოცდებზე სტუდენტთა შეფასების მეთოდები; სასწავლო კურსების შესასწავლი თემატიკა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. ინტეგრირდეს ის სასწავლო კურსები, რომელშიც კონკრეტული კურსის გარდა, სხვა მომიჯნავე კურსის თემატური პროცედურები და მანიპულაციები შეისწავლება;

ე) სპეციალიზაციის საგნებები, განსაკუთრებით კლინიკურ პრაქტიკულ კურსებზე, ფინალური გამოცდის წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული უნარების შეფასებაც;

ვ) მოწესრიგდეს საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის სტერილიზაციის და ინფექციური ნარჩენების მართვის საკითხი. ნარჩენების დროებითი სათავსი გავეთდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის №294-ე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „სამედიცინო ნარჩენების მართვის“ მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) მოწესრიგდეს „სამედიცინო სამართლის“ სილაბუსი. აღნიშნული სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ლიტერატურად მითითებულ იქნეს რელევანტური წყაროები.

5. მონიტორინგი განხორციელდეს 6 თვეში - 2020 წლის 19 ივნისს.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 19 დეკემბერი).

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მ. შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, კილომეტრი, №6, აღნართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოს მდივანი

ქეთევან ქოქრაშვილი

წინო ლიპარტია

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება <sup>1</sup>	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი <sup>2</sup>	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბერი, №277
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება <sup>3</sup>	სტომატოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური <sup>4</sup>	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დონე <sup>5</sup>	მეშვიდე
8	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით <sup>6</sup>	-
10	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
11	კვალიფიკაციის კოდი <sup>7</sup>	0911
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი <sup>8</sup>	საქართველო 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა N4, N6
15	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 19 დეკემბერი
16	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა <sup>9</sup>	მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 19 ივნისი)
17	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 21 დეკემბერი

<sup>1</sup> დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი<sup>2</sup> ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია<sup>3</sup> საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში<sup>4</sup> ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა<sup>5</sup> ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით<sup>6</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში<sup>7</sup> სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი<sup>8</sup> ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი<sup>9</sup> საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თავმჯდომარე

მდივანი